გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


გაზეთი „ივერია" მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

## „ივერია"

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

*** 11 მარტს ქალაქის ბეითალმა ბ-ნმა ვართანოვმა წარმოუდგინა ქალაქის გამგეობას პირველი შემოსავალი საქიმიო ლაბორატორიისა, რომელიც დაარსდა 9 თებერვალს. 9 მარტამდე, ე. ი. ერთის თთვის განმავლობაში, ლაბორატორიის შემოსავალი ყოფილა სულ 4 მანეთი და ათი შაური. სიმცირე შემოსავლისა აიხსნება მითი, რომ ჯერ ხალხმა არ იცის ლაბორატორიის დანიშნულება. ხსენებული ფული შემოვიდა იმ ანალიზების ფასად, რომელიც იყო მოხდენილი კერძო კაცთა თხოვნით. ამათ წარმოადგინეს გასასინჯად ზოგმა რძე, ზოგმაც სხვა-და სხვა სანოვაგე.

*** ამ მოკლე ხანში ქალაქის გამგეობა შეუდგა გამორკვევას და შედგენას საპენსიო წესდებულებისას ყველა იმ მოხელეთათვის, რომელნიც ემსახურებიან ან თვით გამგეობის, ან მისს დაწესებულებათა, როგორც, მაგალითად, სახელოსნო სასწავლებელი, საქალაქო დაბალი სასწავლებლები, სამკურნალონი და სხვები. ეს წესდება თავის დროზედ უნდა წარედგინოს ქალაქის საბჭოს დასამტკიცებლად. მოხელენი გულის ძგერით ელიან ამ ამბის ბედნიერს დაგვირგვინებას, რადგან მათთვის დიდი მნიშვნელობა ექმნება პენსიის შემოღებას და უფრო გულით მოეკიდებიან სამსახურს, რომელიც სიბერის დროს ისე ულუკმა-პუროდ აღარ მიატოვებს მუშაკს, როგორც ეხლაა.

*** ოლქის სასამართლომ 11 მარტს განიხილა საქმე იმ შეურაცხებისა, რომელიც შარშან შემოდგომაზედ მიაყენა ტფილისის მოქალაქემ ბ-ნმა არტემ ბაგმანოვმა გამგეობის აგენტს ბ-ნ აბესალომოვს. აგენტმა შეუკრა ბ-ნ ბაგმანოვს სახლის ქირები, რაკი ეს უკანასკნელი თავის ნებით არ იძლეოდა დარჩენილს ვალს დაფასების ხარჯისას. ეს იწყინა სახლის პატრონმა ბ სახალხოდ ჩხუბი და ლანძღვა დაუწყო უწმინდურის ენით აგენტს. თუმცა უკანასკნელი ელაპარაკა, რომ იგი მოხელე კაცია და ასრულებს უფროსების განკარგულებას, მაგრამ ბ-ნმა ბაგმანოვმა მაინც არ შეიწყნარა და არ დაიშალა ცუდის სიტყვებით მოხსენება აგენტისა. მოწმებმა დაამტკიცეს უდანაშაულობა აგენტისა და სინამდვილე მისის შეურაცხებისა. შეურაცხმყოფელი ოლქის სასამართლომ დამნაშავედა სცნო და გადაუწყვიტა სამის თთვით დაპატიმრება ციხეში.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ „ქართულ წიგნების ბეჭდვის ამხანაგობას" ამ ჟამად აღარც ერთი პაი აღარ მოეპოვება. „ამხანაგობას" სულ 300 პაი ჰქონდა და სამასივე გასაღებულა.

*** ზემოხსენებულს ამხანაგობას უკვე გაუთავებია ბეჭდვა ბ-ნ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა პირველის ტომისა. ამ ტომში მოთავსებულია მხოლოდ ლექსები. წიგნი საკმაოდ მოზრდილი გამოსულა და მალე გასყიდვასაც დაიწყებენ. პირველს ტომში ჩართულია ავტორის სურათი ფაქსიმილეთურთ.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მმართველობა ამ მოკლეს ხანში მოელის პასუხს იმ მამულის-მოყვარე ქართველისაგან, რომელსაც მან სთხოვა ადგილი „საზოგადოების" მუზეის ასაგებად. ამ საგნის თაობაზედ, როგორც „საზოგადოების" წლიურს ანგარიშში, ისე ჩვენს გაზეთშიაც იყო ყოველივე თავის დროზე დაწვრილებით მოხსენებული.

*** ხვალისათვის წარმოსადგენი ოპერეტი „ნატვრის თვალი" სათხშაბათოდ, 18 მარტისათვის, გადაიდო, რადგან ბ-ნს იპოლიტოვ - ივანოვს სიმფონიური კონცერტები აქვს და მუსიკა ტფილისში ერთის ხოროს მეტი არ მოიპოვება, რომელიც სიმფონიურს საღამოს სამზადისშია და სხვა საქმისათვის არა სცალიან.

*** პოლიცია, ქალაქის გამგეობის განკარგულებით, ეხლა ტფილისის სახლებს ახალს ნომრებს აკრავს, მაგრამ ვაი იმ დაკვრას: პანასეიჩის და იმის ზემო ქუჩებში სახლების ნომრები ისე არეულ-დარეულია, რომ ვერაფერს ვერ გაიგებს რომელისამე სახლის მძებნელი. მაგალითებრ, წარმოიდგინეთ, ამ ქუჩაზედ სამი მე-17 №-რია, ორი მე-9. ამას გარდა, წესად არის დადებული, რომ ქუჩის ერთს მხარეს კენტი ნომრები მისდევდეს, მეორე მხარეს—ლუწი. არც ეს წესია დაცული და ამ გვარად ნომრების დაკვრას თავისი მნიშვნელობა დაკარგული აქვს.

*** ამ გაზაფხულისათვის ბ-ნს სამარინ-ბიხოვეცს, როგორც შევიტყეთ, უკვე იჯარით აუღია „სემეინი" და „ევროპის" ბაღები და საზაფხულოდ, შარშანდელსავით, წარმოდგენების გამართვას აპირებს. წარმოდგენები პირველს მაისს დაიწყება ორსავე ბაღში. „სემეინი" ბაღში უფრო ოპერა-ოპერეტებს გაჰმართავს, ხოლო ევროპის ბაღში—ვოდევილ-კომედიები და კუპლეტების გალობა იქნება. ბ-ნს სამარინ-ბიხოვეცს ამ ჟამად უკვე მოლაპარაკება აქვს არტისტებთან, რამდენიმე მოიწვია კიდეც, სხვათა შორის ვალიერო, ბიაზი და სხ.

*** ჩვენის გაზეთის პირველ მარტის, მე-46 №-ში დაბეჭდილი მეთაური წერილი ნ. კ—ძისა „სომხთა ეკკლესია" სომხურს ენაზედ გადაუთარგმნიათ. თარგმანი დაბეჭდილია გაზ. „არძაგანკის" მე-29 ნომერში. ნათარგმნს წინ მოკლე წინასიტყვაობა უძღვის. აი რასა სწერს რედაქცია ამ წინასიტყვაობაში: „ვბეჭდავთ ქართულ გაზეთ „ივერიიდგან" სრულიად კათოლიკოზის არჩევანის გამოისობით დიდის გრძნობით დაწერილს საუცხოო წერილს ჩვენის ეკკლესიის წეს - წყობილების შესახებ. თუ ამ წერილში მკითხველი მოისურვებს ნამდვილის სურათის დანახვას აწინდელის ვითარებისას, ძალიან შესცდება. ამ წერილში დახატულია ის იდეალი, რომელიც ჩვენ შორის უნდა იყოს და შესისხლ-ხორცებული უნდა გვქონდეს, უნარი რომ მოგვეპოვებოდეს უფლისაგან ნაწყალობევის ამ დიდის განძის დაფასებისა და მცირეოდნად მაინც შეგნებული ერი რომ ვიყოთ". წერილი სომხურად ბ-ნს მ. ნავასარდიანცს გადუთარგმნია.

*** 10 მარტს ქუთაისის ქალაქის მოურავად არჩეულ იქმნა ბ-ნი ლოლუა, ქალაქის გამგეობის წევრად-კი— მურადოვი.

*** სამშაბათს, 11 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლოში იყო ეგზამენი იმათთვის, ვინც გარდაცვალებულის ნოტარიუსის ამიროვის ადგილი ითხოვა ტფილისში. მსურველი 7 კაცი აღმოჩნდა: ეკატერინბურგის ნოტარიუსი გრიგორიევი, ნაფიცი ვექილები ა. ჰყონია, მოსევიჩი, თეოდოროვი, ხატისოვი და კერძო ვექილები: ლუკაშევსკი და სპანდარიანი. ეგზამენს დაესწრნენ: ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე, ბრალმდებელი და ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი.

*** ბათუმი: 10 თებერვალს ბათუმის თეატრში აქაურის დასის მიერ წარმოდგენა იყო გამართული ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტის ნ. შენგელიას სასარგებლოდ. შემოსავალი იყო 289 მ. 55 კ. დაიხარჯა წარმოდგენის გასამართავად 175 მ. დანარჩენი-კი 114 მ. 55 კ.

## ფელეტონი

### როგორ მოვიქცეთ? *)

როგორ მოვიქცეთ, რა საქმეს მოვკიდოთ ხელი, რა ღონეა უკეთესი ღონე, რომ ამ გაჭირვებას თავი დავაღწიოთ და ან შემდეგისთვის როგორ უნდა ავიცილოთ თავიდგან ეს გამანადგურებელი მოუსავლობა?

ჯერ-ჯერობით გამორკვეულსა და შესაწყნარებელს პასუხს ამისას არავინ იძლევა, მაგრამ ისიც კარგია, რომ სჯა მაინც დაიწყეს და შეიგნეს უეჭველი საჭიროება ამ საგნის ასე თუ ისე გარდაწყვეტისა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადგილობრივს ადმინისტრაციასა, საერობო დაწესებულებათა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ მიანდო განსახილველად ის საგანი, თუ როგორ უნდა ჰყონ უზრუნველ ხალხის გამოკვების საქმე. ამ გვარადვე, როგორც ისმის, აპირობენ შეჰკრიბონ ცნობანი შესახებ იმისაც, თუ როგორ უნდა განკარგდეს სასოფლო მეურნეობა.

კერძო საეკონომიო საზოგადოებამაც პროგრამა შეადგინა და აქეთიქით დაგზავნა განსახილველად. ამ პროგრამაში ის საგნებია აღნიშნული, რომელთა გამოკვლევაც გაგვითვალისწინებს და შეგვაგნებინებს მიზეზს წრევანდელის მოუსავლობისას და სოფლის მცხოვრებთა გაღარიბებისას.

ერთი ნაწილი მწერლობისა, პროფესორ მენდელეევის ლექციის *) მიხედვით, დამამუშავებელ მრეწველობის გაძლიერებას რჩეობს, რადგანაც ხვნათესვის მიმდევრობა ვერ უზრუნველჰყოფს გლეხსა და ვერც ნიადაგ ამუშავებს.

ამ დღეებში ნიჟნი - ნოვგოროდის გუბერნატორმა განუცხადა სასურსათო კომისიას, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ჟამად ყველას შეგნებული აქვს საჭიროება ისეთის საკანონ-მდებელო ღონის-ძიებათა შემოღებისა, რომელსაც შეეძლება შემდეგისათვის თავიდგან აგვაცილოს თითქმის სიმშილამდე მიღწეული უსაქმლობაო.

ერთის სიტყვით, ამ ჟამად მთავრობაც, წარჩინებულნიც, საზოგადოების დაწესებულებანიც, ჟურნალ-გაზეთებიცა და კერძო კაცნიც, რომელთაც-კი ცოტაოდენი აზროვანობა შეუძლიანთ, ყველანი განცხოველდნენ გონებით, წინანდებურად აღარ ეშინიანთ ჰკუით ვარჯიშობისა და რიდითა და კრძალვით აღარ ეკიდებიან იმ გვარ შემომქმედ შრომის განხილვას, რომელსაც შეეძლო დაქვეითებულისა და გაწეწილის რუსეთის ფეხზედ წამოყენება და განახლება 1815—1850 წლებშიაცა და ყირიმის ომისა და 1863—1864 წლის არეულობის ზარალის აღდგენაც.

ამასთანავე ისიც კარგად ვიცით, რომ ეს პირველად არ იკრიბება „ცნობანი განსახილველად", რომელსაც სხვა შედეგი არა მოსდევს-რა, გარდა იმისა, რომ აუარებელი ქაღალდი იწერება და იბეჭდება, რომელსაც „მასალა" და „შრომა" ეწოდება და შესწავლით-კი არავინა სწავლობს. აი სწორედ ამის დამამტკიცებელი მაგალითია ვალუევის კომისიის შრომა. ეს კომისია დაწესდა დაახლოვებით ვალუევის სახელმწიფო ქონებათა მინისტრად დანიშვნის შემდეგ. ეს სამინისტრო იმ დროს დიდად საყურადღებო სამინისტრო იყო, ცდილობდა სხვა დაწესებულებათა ყურადღებაც თავისს საქმეზედ მიექცია და კისრულობდა საზოგადო საეკონომიო საგნების თავისით გადაწყვეტას. აი ამ დროს, ე. ი. 70 წლების პირველს ნახევარში, ფინანსთა სამინისტროს ჩამოეცალა სამთა-მადნო დეპარტამენტი, რომელსაც ამ ჟამად სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო განაგებს. ხსენებული კომისია დაწესებული იყო იმ საგანთა საწვლილებლად, რომელიც ამ ჟამადაც წინ წამოაყენა წრევანდელმა გამანადგურებელმა მოუსავლობამ. კომისიამ შეკრიბა ყოველ გვარი ცნობანი გლეხ-კაცებისა და მემამულეების მეურნეობის შესახებ; პეტერბურგში მიიწვიეს კომისიაში მონაწილეობის მისაღებად თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ერობათა წარმომადგენელნი და ცნობილნი მეურნენი.

მაგრამ რა გამოვიდა ყოველისავე ამისაგან?

*) გაზ. „Новости"-ს მე-60 №-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი, რომელსაც ეწოდება „როგორ მოვიქცეთ?" მოგვყავს ეს წერილი სიტყვა-სიტყვით.

*) ეს ლექცია ჩვენს გაზეთშიაც იყო დაბეჭდილი ამას წინად შემოკლებით.

ნ. შენგელიას გაეგზავნა დანიშნულებისამებრ.

*** გაზეთ „Кавказъ“-ს შეუტყვია, რომ 15 აპრილიდგან კავკასიის აბრეშუმის სადგურში, რომელიც მუშტაიდის ბაღშია, დაიწყება სწავლება აბრეშუმის მოყვანისა და ფუტკრის მოშენებისა.

*** პეტერბურგის გაზეთები ამბობენ, რომ გზათა სამინისტროში უკვე წარდგენილია პროექტი რკინის გზის გაყვანისა კავკასიის მთებზედ. ეს პროექტა შარშან ზაფხულს ინჟინერებმა შეადგინეს.

*** ორშაბათს, 9 მარტს, ტფილისის თამბაქოს ქარხნებში მომუშავე მეპაპიროსეებმა პირობა შეჰკრეს და მუშაობას თავი დაანებეს. მიზეზი ამ ამბისა ისა ყოფილა, რომ თამბაქოს ქარხნების პატრონებმა გამოუცხადეს მუშებს, აქციზის მმართველობამ სასტიკად აგვიკრძალა, რომ ქარხნებში მომუშავე მეპაპიროსეებს არამცა და არამც უბანდეროლო პაპიროსი არ მისცეთ შინ წასაღებადაო. აქამდის თითო მეპაპიროსეს 10 ცალი უბანდეროლო პაპიროსი მიჰქონდა ქარხნიდგან. მეპაპიროსეებმა ეს არ დაიჯერეს და მუშაობას თავი დაანებეს. შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, რომ აქციზის მმართველობას მართლა გაუცია ეს განკარგულებაო, ხელ-ახლავ 10 მარტს მუშაობას მოჰკიდეს ხელი. აქციზის უფროსს-კი თხოვნა მიართვეს, რომ ნება მოგვეცით კვლავაც ქარხნიდგან დღეში ათ-ათი ცალი უბანდეროლო პაპიროსი წავიღოთ ხოლმეო (გაზ. „Кавказъ“-ი).

*** მარტის 10 ეკატერინე კარაკაშევისამ პოლიციაში გამოაცხადა, რომ სიონის ქუჩაზედ ჩემის სადგურიდგან ფული და ავეჯი მომპარეს, სულ 80 მანეთისაო. დამნაშავე აღმოჩნდა თელავის მცხოვრებელი სერგეი ოთაროვი, რომელიც შეიპყრეს და გამომძიებელს გადასცეს.

*** ამავე დღეს აკოფ ოჰანეზოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემის სახერხავ ქარხნიდგან ყუთი მომპარეს, რომელშიაც იყო 600 მან. თამასუქი, 30 მანეთის ნივთეულობა, ვაჭრობის ნება-რთვის ქაღალდი და ბაშფორთებიო. ეჭვი პატრონმა გამოაცხადა მხერხავს რაჭის მაზრის მცხოვრებელს თადეოზ კახეთელიძეზედ, რომელიც შეიპყრეს და სასამართლოს გადასცეს.

## დამახსოვრდი!

რაც მართებულია, ღირსია პატივის-ცემისა და რაც ღირსია პატივის-ცემისა, ის ყოველთვის მართებულია.

ციცერონი

**

სიყვარული ბეცია, მეგობრობა ბრმაა.

დურინსფელდი

**

ლოდინი სიხარულისა იგივ სიხარულია.

ლესსინგი

**

ძლიერია კანონი, ამზედ უფრო ძლიერი გაჭირებაა.

გეტე

## მთავრობის განკარგულებანი

გურიის სათადარიგო ბატალიონის პოდპოლკოვნიკი დუმბაძე გადაჰყავს ნილ იქმნა ბათუმის სათადარიგო მეცხვანეთა ბატალიონში.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. შინდისი** (გორის მაზრა). გუბერნატორის ბრძანებით, გლეხები ჰმართავენ პურის მაღაზიას, აგროვებენ დიდის ხალისით პურს, ქერს და სიმინდს. ნამეტნაობა შეკრებილის ჭირნახულისა გაისყიდება და აღებული ფული შეინახება ან ადგილობრივს ხაზინაში, ან ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში იმ სამამასახლისოს სახელზედ, რომელიც ფულს შეიტანს. როდესაც თანხა გაბევრდება, იმის სარგებელი მოხმარდება სოფლის აუარებელს საჭიროებას, მაგალითებრ, შეისყიდიან მამულებს, ტყეს, გააკეთებენ სკოლებს, გზებს, გამოიწერენ საუკეთესო გუთნის იარაღს, კარგის ჯიშის საქონელს და სხვ. ერთის სიტყვით, მოხმარდება მრავალს ამისთანა სასარგებლო საქმეს. თუ ეს განზრახვა ბ-ნის გუბერნატორისა სისრულეში მოვიდა, სოფლელის ბედს მაშინ ბევრი შეჰნატრებს.

გლეხებს გარდა, ნაკლებ გაჭირვებაში არ არიან აქაური აზნაურებიც. ბევრს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ შინდისის აზნაურებს ისე მცირე მამული აქვთ, რომ სათქმელადაც არა ღირს. დაუმატეთ ისიც, რომ ტყე სრულიად არ მოეძევებათ, და ადვილად მიხვდებით, თუ რა გაჭირვებაში არიან ჩავარდნილნი ჩვენნი კეთილშობილნი. ასე ხელ-მოკლე კაცი, რასაკვირველია, შვილებს განათლებას ვერ მისცემს და უნდა აღიზარდნენ ისე, ღვთის ანაბარად, უსწავლელ-გაუნათლებელნი.

საჭირო იყო, როგორმე გვეშველა ჩვენის თავისათვის და კიდეც დავიწყეთ ერთი კარგი საქმე, რომელიც, თუ თავი გაიტანა, დიდ ხეირს მოგვიტანს. განვიზრახეთ და კიდეც სისრულეში მოვიყვანეთ პურის საწყობის დაარსება. შარშან, 22 მკათათვეს, იყო პირველი კრება აქაურის აზნაურებისა. კრებაზედ გადასწყდა, დავაარსოთ საწყობი, შეგროვილი პური გავყიდოთ და როცა თანხა გაგვიბევრდება, მოვიხმაროთ ჩვენის საჭიროებისათვის: შევიძინოთ მამულები, ტყე, დავაარსოთ გამსესხებელი კასსა, დეპო. ეს ორივე დაწესებულება დიდს სარგებლობას მოუტანს ჩვენს ღარიბს აზნაურობას. კასსის შემწეობით აღარ გავეყვლეფინებით ჩარჩებს და წვრილ მოვაჭრეებს, რომელნიც მამა-სისხლად ჰყიდიან ყოველ გვარ სავაჭროს. პირდაპირ მექარხნესაგან მივიღებთ საქონელს და ჩარჩები ხახა მშრალები დარჩებიან. შემოდგომაზედ ვაპირებთ მოსამზადებელ სკოლის გამართვას. გამოტეხილი უნდა მოგახსენოთ, რომ თუ ასეთი მოსამზადებელი სკოლა არ გაიმართა ჩვენს სოფლებში, თავისს სიცოცხლეში ჩვენის აზნაურების შვილები ვერ იხილავენ ტფილისის სასწავლებლებს. ვისა აქვს, თქვენი ჭირიმე, იმდენი შეძლება, რომ შვილი მოამზადოს პირველ კლასისათვის და მკაფიოდ ასწავლოს რუსული, ურომლისოდაც ახლოც არ მიგაკარებენ სკოლის კარებს. ამას კიდევ ორას-სამასი თუმანი უნდა და ამდენს ფულს ჩვენი ღარიბი აზნაური სიზმარში თუ ჰნახავს იმ „როდნოი სლოვოს“ თათარსავით, რომელსაც ქაშის ხილვის ბედნიერება ეღირსა მარტო სიზმარში, თორემ ნამდვილად არა რაიმე სახსარი არ ექნება მაგოდენა ხარჯის გაწევისა.

ამისათვის ყოვლად საჭირო იყო, შეგვეგროვებინა გაფანტული ძალა, შევერთებულიყავით სულითა და ხორცით და საერთო ძალით დაგვეწყო საშვილიშვილო საქმე. კიდეც დავიწყეთ და იმედიცაა, რომ კარგად წავიყვანთ. რა გასაჭირია ქართველ კაცისათვის წელიწადში ორი-სამი კოდი პური გადიხადოს! არაფერი. ამ წვლილს-კი ძალიან დიდი საქმე მოჰყვება.

შარშანდელმა კრებამ ზედამხედველებად ორი კაცი ამოირჩია: კ. მირზაშვილი და ზ. თავყელიშვილი, ფულის საანგარიშოდ ვ. ბერძნიშვილი. პირველად ჩავეწერეთ სულ 45 კაცი. მონაწილეობა მიიღეს ფხვენისისა და ტირძნისის აზნაურებმაც. ეხლა სულ 125 კოდი პური გვაქვს და ქვითკირის საწყობის აშენებასაც შევუდექით.

შინდისის აზნაურების დაწყობილება იმ მხრით არის შესანიშნავი და სასიამოვნო, რომ ცხადად გვიჩვენებს ჩვენს გამოფხიზლებას. დროც იყო. სხვის ხელთა ყურება, სხვისი ხვეწნა და მუდარა მუდამ, გეთაყვა, ხელი გამიმართე, გაჭირვებისაგან დამიხსენო, არას გვარგებს და არც არა გამოდის-რა. ჩვენთვის ვისა სცალიან. ჩვენის თავისათვის ჩვენვე უნდა ვიზრუნოთ, ჩვენი ნივთიერი კეთილდღეობა ჩვენვე უნდა გავაჩინოთ. რაკი ნივთიერად მოვღონიერდებით, მაშინ სწავლაც ადვილია და, გაქვთ სიცოცხლე, უნივერსიტეტსაც ბევრი ჩვენგანი გაათავებს.

შინდისის აზნაურებმა სამაგალითო საქმე დაიწყეს. იმედია, სხვა კეთილშობილნიც წაჰბაძავენ და ამ გვარად რამდენისამე წლის შემდეგ ისეთი თანხები გაუჩნდებათ, რომ გაუჭირვებლად დააარსებენ მაღალს სამეურნეო სასწავლებლებს, რომელიც ასე საჭიროა ჩვენის ქვეყნისათვის.

თუ-კი სამღვდელოება ახერხებს თავისის ხარჯით სკოლების შენახვას, თუ გლეხობა, ილაჯ-გამოლეული და სიქა-გაგდებული, ჰზრუნავს საზოგადო თანხის შედგენისათვის, ჩვენს მოწინავესა და მეთაურს წოდებას რაღად უნდა გაუჭირდეს ეს საქმე? დრო შეიცვალა, საჭიროა დროს შესაფერად მოქმედება და ჩვენც იმიტომ აღვნიშნეთ სიამოვნებით შინდისელ კეთილშობილთა დაწყობილება, რომ მათი საქმე სწორეთ დროს შესაფერი საქციელია და უხვის ნაყოფის მომცემი.

ფ.

## ბამბის თესვისა და მოყვანის შესახებ ჩვენში.

(დასასრული. იხ. „ივერია“, № 52)

ეს რისგან წარმოსდგება, რომ ჩვენ-კი ხელს არ გვაძლევს ბამბის მოყვანა და ამერიკელის მეურნის მოყვანილი ბამბა თვით რუსეთშიაც-კი ჯერ-ჯერობით უმთავრესს მასალას შეადგენს ჩითეულობის, საფეიქრო ქარხნებისათვის?

საქმე ის არის, რომ ყოველისავე მცენარის შემოსავალი, ჯერ ერთი, დამოკიდებულია თვით მცენარის მოყვანის ტეხნიკასა და, მეორე, ეკონომიის გარემოებაზედ. როდესაც კარგად შემუშავებულს ნიადაგზედ საუკეთესო ბამბის ჯურის თესლი დაითესება და ადგილობრივი ბუნების შესაფერი თვალ-ყურის დაჭერა და მოვლა ექნება ბამბის ნათესებს, მაშინ, რასაკვირველია, თვით მცენარეც ძალიან დიდს მოსავალს მისცემს. ამ ჟამად, როდესაც იმერეთში ბამბას მეტად მწირსა და უნაყოფო ნიადაგზედ სთესენ და ვერც თესლის შერჩევა და რიგიანი მოვლა იციან, ერთს დესეტინაზედ ძლივს მოდის 8—10 ფუთი ბამბა. ამერიკაში კარგად შემუშავებულს მიწაზედ ერთი დესეტინა იძლევა 22 და სამხრეთ კაროლინის შტატში 35—38 ფუთამდე ბამბას.

„გამოჩენილი ბამბის მოყვანის მიმდევარნი დავით დიკსონი და დოქტორ კლაუდიო, ამბობს ბ-ნი ტარატინოვი თავისს წიგნაკში (Очеркъ хлопководства въ Закавказьи. Тифлисъ, 1889 г.), რომელთაც შეიძლეს ყველაზედ საუკეთესო მოსავალის მოყვანა—150 ფუთის წმინდა ბამბისა ერთს დესეტინაზედ, ამბობენ, რომ თუ ჩვენ ამოდენა მოსავალი მოგვივიდა, ეს იმიტომ-რომ, ჯერ ერთი, მიწა ღრმად მოვხანითო; 2, ბევრი პატივი დავაყარეთ; 3, ნიადაგს ნათესობას წესიერად ვუცვლიდით და, 4, ნათესს კარგად ვუვლიდითო. დოქტორი კლაუდი იმ რჩევას იძლევა, რომ თუ წესიერად გვინდა ნიადაგს ნათესობა ვუცვალოთ და ვურჩიოთ, ასე უნდა მოვიქცეთო:

პირველს წელიწადს ბამბა უნდა დავთესოთ.

მე-2 წ. „ — სიმინდი

მე-3 წ. „ — რაიმე პურეულობა (ჩვენში, რასაკვირველია, ხორბალი) და

მე-4 წ. „ ან მიწა უნდა დავასვენოთ, ან ბალახი მოვიყვანოთ (ჩვენში იონჯის თესვა კარგი იქნება, რომელიც 5—6 წელიწადს იძლევა მოსავალს)“ (გვ. 13—14).

წესიერს ნათესობის ცვლას იმიტომა აქვს დიდი მნიშვნელობა, არამც თუ ბამბის მოყვანასა, არამედ სა-

---

ვისაც უნდა ამისი პასუხი გაიგოს, უნდა მხოლოდ სასოფლო მეურნეობისა და მასთან დამოკიდებულ-დაკავშირებულ საგანთა აწინდელს ვითარებას ჩაუკვირდეს.

იქნება საჭირო იყოს გავიხსენოთ ის კომისიაც, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად დაწესდა, სახელდობრ იმ დროს, როდესაც სასოფლო მეურნეობას კრიზისი დაუდგა, ე. ი. პური მრავალი გვქონდა, მაგრამ ფასი არ ედო და ისევე სამძიმო იყო ის გარემოება ჩვენთვის, როგორც ამ ჟამად უპურობაა.

კითხვა არ უნდა, ჩვენ ვერაფერს ვიტყვით ცნობათა განსახილველად შეკრების, ძველადვე შეკრებილის მასალის განახლებისა და შემოწმების წინააღმდეგ, მაგრამ ამასთანავე ცუდი არ იქნება, რომ ძველი ამბავიც გავიხსენოთ, ე. ი. ის ამბავი, რომ ამ გვარ შრომათა და მასალის კრებას წინად ძლიერ ბევრჯელ მხოლოდ უსაბუთო გულის დამშვიდება ჰქონდა შედეგად და ძლიერა ჰგავდა ეხლანდელს კანცელარიულს მიწერ-მოწერას, რომელიც მარტოდ-მარტო დროს დაკარგვა და საჭირ-ბოროტო საგნებისა და ჟამთა სიავის ასე თუ ისე გადაწყვეტისათვის თვალის მორიდებაა.

ჩვენის საეკონომიო ცხოვრების რამდენიმე მოთხოვნილება და საჭიროება ისე თვალ-საჩინო შეიქმნა, რომ, დარწმუნებულნი ვართ, ახალის მასალისა და ცნობათა შეკრება და განხილვა საჭირო აღარ არის. ერთ-ერთი ამ გვარ მნიშვნელოვან საგანთაგანი შეიძლება გადასწყდეს სულ სამის-ოთხის კვირის განმავლობაში. ჩვენ მოგახსენებთ იმ ძალად შექმნილ დაბრკოლებათა შესახებ, რომელიც ყოველთვის წინ ეხიდება ჩვენში ყოველს ახალსა და სასარგებლო მოღვაწეობასა და მოქმედებას.

ზემოხსენებულის მიხედვით კაცი ადვილად მიხვდება, თუ რა ტაატით მიდის ჩვენში ყოველივე თუნდა ძლიერ საჭირო საქმეც. მაგრამ ამაზედ არა ნაკლები დაბრკოლება ჰხვდება წინ განა თუ მარტო საზოგადოებისა და კერძო მოქმედებას, არამედ თვით მთავრობის მოქმედებასაც. მთელის ამ გვარის მოქმედებისა და, ვიმეორებთ, მთავრობის მოქმედების შესახებაც ამ ჟამად სრულ უნდობლობის სისტემა სუფევს. დაბალი „უფროსი“ ვერაფერს რიგიანსა და სასარგებლოს ვერ გააკეთებს, თუ საამისოდ განსაკუთრებული ნება-რთვა არ მიიღო უმაღლესის ინსტანციისაგან. კითხვა არ უნდა, კერძო კაცნი ამ მხრივ უფრო უარესად შევიწროებულნი არიან. რამდენიმე წელიწადია საჭირო, რომ ჩვეულებრივის საქმის დასაწყებად კაცმა ნება-რთვა მიიღოს მთავრობისაგან. ვინ იცის, რამდენი წვალება, ხარჯი და სიარულია საჭირო და ან რამდენი ქაღალდი უნდა დაიწეროს, მაგალითად, თუნდა იმისთვის, რომ უბრალო საქმე რამ დაიწყოს კაცმა, არა თუ პაით, არამედ თავისის საკუთარის ფულითაც-კი? ჩვენ მიერ რომელისამე საქმის დაწყება ამის გამო რაღაც უპირატესობის ძიებას ემსგავსება; ყველანი იმასა სცდილობენ, რომ მეტოქეობა არავინ გაუწიოს მათს საქმეს და ამ სახით კერძო თაოსნობა ისპობა და ქარწყლდება. ამ ჟამად ჩვენა ვსაჭიროებთ მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსებას, პატარ-პატარა ძალებისა და თანხის გაერთიანებასა, მაგრამ ყოველსავე ამას სრულის უნებობის დაღა აზის და ამ უნებობას შეიძლება კაცმა სძლიოს მხოლოდ მაშინ, თუ რამდენიმე წელიწადი იშუამდგომლებს მთავრობის წინაშე, ათას გვარს ქაღალდს წარადგ-წარმოადგენს, პროტექციას შეიძენს და რადენიმე დაწესებულება თანაბრად აღიარებს მისს კეთილ-საიმედოობასა და სხვ. ჩვენა გვსურს მრეწველობის განვითარება, გავრცელება, მაგრამ ამ ჟამად ისეთი კანონი-კი არა გვაქვს, რომ იმისმა დაცვამ და იმისდა მისედვით მოქცევამ განათავისუფლოს მთავრობაცა და საქმის დამწყებნიც ყოველისავე დასაწყის საქმის კერძოდ განხილვისაგან.

მდიდარსა, მრეწველობის მიმდევარსა და საქმიანს ქვეყნებში შემდეგი საერთო კანონი სუფევს: ყოველივე ნება-დართულია, რაც-კი კანონით არ არის აკრძალულიო.

ჩვენში-კი ყოველსავე კანონიერსა და სასარგებლო საქმეს სულს უხუთავს და კაცს ხალისს უკარგავს შემდეგი კანონი: ყოველივე აკრძალულია, ყოველივე ნება-დაურთველია, გარდა იმისა, რისაც განსაკუთრებული ნება-რთვაა მიღებული მთავრობისაგანაო.

ვიდრე თავიდგან არ მოვიშორებთ ამ ყოველის მოქმედების სულის შემხუთავს გარემოებასა და პირობას,

ზოგადოდ მეურნეობაში, რომ, ჯერ ერთი, ნიადაგს არა ჰლლის, ასვენებს და ნაყოფიერობას არ უმცირებს და, ამას გარდა, მცენარეც სხვა-და-სხვა სოკოსებურს ავადმყოფობას თავიდგან იცილებს. ამ გვარად, სჩანს, რომ ნიადაგის კარგად შემუშავება ამრავლებს ბამბის მოსავალს ერთი სამადა და ერთი ოთხად. მაგრამ შეიძლება მკითხველმა მითხრას, რომ კარგად შემუშავებას ბევრი მუშაობა სჭირია, მუშაობას—ფული და იქნება ხარჯისდა გვარად ჩვენი 8—10 ფუთი დესეტინა უფრო დიდ მოსავლად მივილოთ, ვიდრე სამხრეთ კაროლინის 35—38 ფუთიო.

მაგრამ ამერიკაში საქმე აგრე არ არის: თუმცა კარგად შემუშავებას მართლაც-და ბევრი მუშაობა უნდა, მაგრამ ამ მუშაობას ძალიან აიაფებს საუცხოო მაშინების ხმარება: ჰხნავენ განკარგებულის რკინის გუთნებით, სთოხნიან ერთ გვარის ცხენის სათოხნავით, ბამბის გასარჩევად, ჩვენებური ჩიხრიხი-კი არა, სხვა ნაირი მაშინა აქვთ, რომელსაც ჯინს ეძახიან. ამ გვარს პატარა მაშინას შეუძლიან გაარჩიოს ერთის დღის განმავლობაში 12—15 ფუთამდე ბამბა, ჩვენებური ჩიხრიხი-კი ვაი-ვაგლახით ძლივს გაარჩევს 10—15 გირვანქას და ამ შემთხვევაშიაც ორი-სამი კაცი თითქმის ჯვარს უნდა აცვას. ამას გარდა, გაგზავნ-გამოგზავნის გასაადვილებლად ბამბას სატკეცში, ესრედ წოდებულს პრესში, გამოიყვანენ ხოლმე. ამასთანავე, ძალიანაც შორს რომ უნდოდეთ გაგზავნა, გადასატანს ქირას რკინის გზები და გემები ისე მცირეს ახდევინებენ, რომ ეს მცირედი ფასი ნაწარმოებს თითქმის სრულიად არ აძვირებს.

დიდი ხანია, რაც იმერეთის გლეხკაცი ბამბის მოყვანას მისდევს: 1862—4 წწ., როგორც ზემოდ მოვახსენეთ მკითხველებს, ბამბის მოსავალი შეადგენდა უმთავრესს წყაროს იმერეთის გლეხ-კაცის კეთილდღეობისას. მაგრამ შეურყეველმა საეკონომიო კანონმა, რომლის ძალითაც ის მცენარე, რომელიც უფრო მეტს შემოსავალს იძლევა, სდევნის ხოლმე მეურნეობიდგან უფრო ნაკლებ შემოსავლიანს მცენარეს, ბამბის მოყვანაც შეამცირა. ბამბის მოყვანის დაცემის შემდეგ იმერეთში ფეხი მოიკიდა და ფესვი გაიდგა ვენახის გაშენებამ. ვაზის შემოსავალი ერთიორად და სამად მაინცა სჭარბობს ბამბის შემოსავალს, მეტადრე ახლა, როდესაც ეს მოსავალი მაგდენად სახარბიელოს არაფერს შეადგენს. მაგრამ რაც ზემო-იმერეთის ვენახებს ფილოქსერა ეწია და გასახმობად გასწირა ეს უმთავრესი წყარო იქაურის მეურნეობის შემოსავლისა, მას აქეთ ზემო-იმერეთის მეურნეობის შემოსავლის გასამრავლებლად სხვა-და-სხვა წყარო უნდა მოვნახოთ. ტარატინოვი ცოტად თუ ბევრად აზვიადებს ბამბის შემოსავალს, როდესაც ამბობს, რომ საერთოდ ბამბის ნათესობის შემოსავალი ჩვენში დესეტინაზედ 150 მანეთსაც გადააჭარბებსო, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ამ ჟამად ზემო-იმერეთის გლეხ-კაცობამ სხვა იმისთანა მცენარე არ იცის, რომლის მოყვანაც ბამბაზედ უფრო დიდს შემოსავალს მისცემდეს. სხვა ახალ, დიდ შემოსავლიან მცენარეების შემოღება და გავრცელება ადვილი საქმე არ არის. თუმცა ჩვენ ყოველთვის უნდა ვეცადოთ და შემოვიღოთ, მაგრამ ჩვენთვის უფრო დიდად საიმედო უნდა იყოს იმ მცენარეთა გაუკეთესება და მოსავლის გამრავლება, რომელიც უკვე გავრცელებულია ხალხში.

ის აუცილებელი და დიდად საგრძნობელი ზიანი, რომელიც უეჭველად მოჰყვება ვენახის გახმობას, ცოტად თუ ბევრად მაინც შეუძლიან გაგვიქარწყლოს ამ ჟამად უფრო ბამბის მოყვანამ, ვიდრე ან სხვა, ახალი მცენარენი მოგვეშველება, ან ამერიკის ვაზისა და ან წამლობის საშუალებით შევიძლებთ და ისევ მევენახობას მივყობთ ხელს.

ბამბის მოყვანას იმერეთში საკმაოდ ხელს უწყობს იქაურის მიწა-წყლის გარემოება, ხალხის ჩვეულება და რკინის გზაც, რომელიც იმერეთის გლეხ-კაცს ძალიან უადვილებს ბამბის გატანას რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ბაზარში. საქმე იმის გამოა შეფერხებული, რომ მიწის-მომქმედმა ტეხნიკის მხრივ იმ წამსვე გააუმჯობესოს საქმე, რათა ბამბის მოყვანა კარგად აჯილდოვებდეს სოფლის მუშა-კაცს. ამისათვის უმთავრესად საჭიროა ჯერ კარგის თესლის შოვნა და შემოღება. ამ ჟამად საუკეთესო თესლად ამერიკულის ბამბის თესლი ითვლება, რომლის გავრცელებასაც ეხლა რუსეთის ზოგიერთის ჩითეულობის დიდ საფეიქრო ქარხნების პატრონები სცდილობენ (ფირმები პოზნანსკისა, კარზინკინისა და ზოგიერთნი სხვანიც). მაგრამ მარტო თესლის გავრცელება არა კმარა. ამერიკული თესლი, როგორც უცხო ქვეყნის მიწა-წყალს შეჩვეული, თუმცა ჩვენს თესლზედ უკეთესს მოსავალს მოგვცემს, მაგრამ თუ რიგიანად არ შეეჩვია ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენ მაინც იმდენს მოსავალს ვერ მოგვცემს, რამდენსაც ამერიკაში იძლევა. ამ შემთხვევას დიდი ყურადღება, ხელი და ცოტაოდენი სწავლაც უნდა, რომ ყოველ მოსავლიდგან რიგიანი თესლი გადაარჩიონ და ამ გვარად საუკეთესოდ მორჩეულს თესლს შესაფერად მოუარონ, დათესონ და ამით შეუთვისონ და შეუფარდონ ჩვენის ქვეყნის ჰაერსა და მიწა-წყალს. რასაკვირველია, უნდა ვისწავლოთ სხვათა შორის სხვა-და-სხვა მაშინის ხმარებაც, მეტადრე ჯინებისა, რომელიც ძალიან გააადვილებს ბამბის გარჩევას და გააიაფებს კიდეც. პოზნანსკის ფირმას უკვე უზრუნია და ჯინები დაუდგამს იმერეთში, მაგრამ ბამბის მწარმოებლებისათვის უფრო სასარგებლო იქნება, რომ თავიანთი საკუთარი ჯინები გაიჩინონ.

არ. ფირალოვი

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

სომეხთა ეკკლესიას დიდი უფლება აქვს მინიჭებული, უფლება სრულიად სომეხთა კათალიკოსის არჩევანისა. ამ უფლებას მცირედი მნიშვნელობა არა აქვს, რასაკვირველია, თუ სომეხთა საზოგადოებამ რიგიანად მოიხმარა. 8 მარტის არჩევანს ცხადად ეტყობოდა ამომრჩეველთა დასებად დაყოფა. რასაკვირველია, ეს კანონიერი ამბავია: ვისაც-კი სურს არჩევანიდგან გამარჯვების ბურთი გაიტანოს, შრომა და მეცადინეობა არ უნდა დაჰზოგოს და ეცადოს, რაც შეიძლება, მეტი მომხრე იყოლიოს. ეს მეცადინეობა და შრომა სათაკილოდ არავისათვის არ უნდა ჩაითვალოს, თუ კაცი ისეთს არა სასურველს ღონისძიებას არ მიჰმართავს, როგორიც არის, მაგალითებრ, ამომრჩეველთა დაქრთამვა, ანუ სხვა ამ გვარი ძალ-დატანება და ძალ-მომრეობა.

აი რასა სწერს ამ საქმის შესახებ გაზეთი „Кавказъ“-ი თავისს მეთაურს წერილში:

საარჩევანო აგიტაციასაც თავისი საზღვარი უნდა ჰქონდეს. რასაკვირველია, ძლიერ კარგია, როცა ადამიანი სცდილობს თავისის იდეალების განხორციელებას, თავის დასის გამარჯვებას, მაგრამ ეს მეცადინეობა მხოლოდ მაშინ არის კანონიერი, როცა დასის მეთაურს უმთავრესი საგანი არჩევანისა არ ავიწყდება. საგანი ყველა არჩევანისა ის არის, რომ გამოაშკარავდეს ამომრჩეველთა უმეტესობის სურვილი, სულ ერთია, ვინც უნდა იყვნენ ამომრჩეველნი: ერი, ეკკლესია, ვაჭართა საზოგადოება, თუ კლუბი. დასის მეთაურის ყოველ გვარი აგიტაცია სამართლიან საქმედ ჩაითვლება, თუ მეთაური მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ უმეტესობა მიიმხროს. მაგრამ, როცა დასის მეთაური უმეტესობის სურვილს ყურადღებას არ აქცევს და მის მაგიერ თავისი საკუთარი სურვილი უნდა გაიყვანოს, ასეთის საქციელის გამართლება ყოვლად შეუძლებელია. პატიოსანს მოღვაწეს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ არჩევანი მხოლოდ საზოგადოების აზრისა და სურვილის გამომხატავი უნდა იყოს და არა კერძო კაცის სურვილის ამსრულებელი. მხოლოდ იმ საზოგადოებას შეუძლიან კანონიერად გამოიყენოს საარჩევანო უფლებანი, რომელსაც ეს ჭეშმარიტება კარგადა აქვს შეგნებული.

აი სწორედ ამ შეუგნებლობის გამოა ხოლმე ის დაუსრულებელი კამათობა არჩევანების უკანონობის გამო, პროტესტი და საჩივრები, ხელმეორედ არჩევანების დანიშვნა და სხვ.

მართალია, ასეთს საქციელს ბოდიში იმითი მოეხდება, რომ დასის მეთაური, რომელიც ყოველ გვარ საშუალებასა ჰხმარობს გამარჯვებისათვის, თითონ დარწმუნებულია თავისს სიმართლეში და ჰფიქრობს, სხვაზედ მე უფრო მომეტებულს სარგებლობას მოვუტან ჩემს ქვეყანასაო, მაგრამ ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ თითოეულის მეთაურის კეთილი სურვილი და განზრახვა სხვაა და სურვილი და სარგებლობა საზოგადოების უმეტესობისა კიდევ სულ სხვა.

---

# უცხოეთი

**საფრანგეთი**. გაზეთს „Figaro“-ში ეხლა-ხან დაიბეჭდა ერთი წერილი, რომელმაც მითქმა-მოთქმა გამოიწვია გაზეთებს შორის. წერილი დაწერილი იყო საეკკლესიო პოლიტიკისა და რესპუბლიკის პაპთან დაახლოვების შესახებ, და ეს საგანი ხომ ამ ჟამად ისეთი საგანია, რომლის გამოც რადიკალებიც გადაკიდებულნი არიან რესპუბლიკელთა დასის ზომიერ კონსერვატორთა ნაწილზედ. სამინისტროს კრიზისის შემდეგ ეს დასი ახლა კარნოს ჩააცივდა. ხსენებულმა წერილმა მიზეზი და მასალა მისცა კარნოს წინააღმდეგ გასალაშქრებლად. აი თვით შინაარსი იმ წერილისა: „ეკკლესიისა და რესპუბლიკის დაახლოვების საქმის თაოსნობა საკუთრად კარნოს ეკუთვნის. პრეზიდენტად ამორჩეულმა კარნომ სწორედ იმ დროს, როდესაც ერი მამულის-მოყვარეობის გრძნობით იყო გამსჭვალული, რადგან საფრანგეთს ეშინოდა გარეშე და შინაურის მტრებისა, შეიგნო უკმაყოფილება, რომელსაც ხელს უწყობდნენ ურწმუნონი: კარნომ თავის მოვალეობად დასახა გაერთება, გადიადება, გაძლიერება და გაბრწყინვება საფრანგეთისა, რომელსაც უნდა მოესპო შინაური შუღლი და თავისი ნიჭი მხოლოდ იმისთვის უნდა მოენდომებინა, რომ გარედ, სხვა სახელმწიფოთა შორის მოეპოვებინა პატივი და ღირსეული ალაგი დაეჭირა. კარნომ მაშინვე მიაგნო ფესვს ბოროტებისას და განიზრახა ძალის მოსამატებლად მომხრობა პაპისა, ამმართლა-და თვალ-საჩინო ძალისა, რომელსაც გრევი და იმის მეგობრები, სამწუხაროდ, ყურადღებას არ აქცევდნენ“. გაზეთი იმასაც ამბობს, ცოლიც ამასვე ურჩევდა კარნოსაო. ასე იყო თუ ისე, როდესაც სპიულერის დროს 1889 წელს მოლაპარაკება დაიწყეს იმის შესახებ, რომ პარიჟის მთავარ-ეპისკოპოსი რიშარი დაენიშნათ კარდინალად, საფრანგეთის დესპანმა პაპის სასახლეში ოფიციალური მიწერილობა მიიღო, შეიტყე, შეიძლება თუ არა პაპი ჩაერიოს საქმეში, რათა საფრანგეთის სამღვდელოებას აგიტაცია მოვასპობინოთ რესპუბლიკის წინააღმდეგაო. პაპი მაშინვე დასთანხმდა ამას, რადგან იტალიასთან საბრძოლველად იმასაც მომხრე ეჭირვებოდა. რაკი ეს მოხდა, ახლა მხოლოდ გარეგანი სახე-ღა უნდა გამოერკვიათ ამ მორიგებისა და ისეთი კაცი ეშოვნათ, რომელსაც შეეძლებოდა ამ საქმეში ჩარევა და ახალის პოლიტიკის წარმომადგენლობის კისრება. იშოვეს ასეთი კაციც—კარდინალი ლავიჟერი. პაპმა არა თუ წინააღმდეგობა არ გაუწია ამ პიონერს ახალის მოძრაობისას, არამედ მომხრე-

---

მანამდე ვერ შევიძლებთ ვერც რიგიანად განვითარებას ჩვენის მრეწველობისას და ვერც საზოგადოდ ნაყოფიერის შრომისას. 1861 წელს 19 თებერვალს განათავისუფლეს კაცი, ხოლო შრომა ისევ მონადვე დარჩა. ეხლა უკვე სოციალურადაც შემოწმებულია, რომ გლეხის შრომა შეხუთულია ძველის სასოფლო გამგეობის წეს-წყობილებით, ათასის სისხლის მწოვარა და მუქთა მჭამელის გაუმაძღრობითა, პასპორტების არსებობითა და სხვ., მაგრამ სხვათა შრომასა და სანაყოფიერო მოქმედებასაც მძიმე ტვირთად აწევს საბიუროკრატიო წეს-წყობილება მთავრობისაგან ნება-რთვათა მიღებისა და საკანცელარიო მიწერ-მოწერისა.

ამ უკანასკნელს დროს ეს ფორმალიზმი არა თუ არ შემცირდა, არამედ უფრო დამკვიდრდა კიდეც ეგრედ წოდებულის „სახელმწიფო სოციალიზმის“ წყალობით, რადგან ყოველს დარგს კერძო მოქმედებისას, ვაჭრობასა და მრეწველობას სახელმწიფოს მხრივა აქვს დახმარებისა და განცხოველების იმედი. ყველგან და ყველაფრისათვის დაცვასა, აღკრძალვასა და უპირატესობის მინიჭებასა თხოულობენ. დაკანონებანი, ცირკულიარები, ინსტრუქციები თითქმის ყოველ დღე იწერება დასაბრკოლებლად და შესახუთავ-შესაზღუდავად ყოველის სანაყოფიერო მოქმედებისა. ბოროტ-მოქმედებასა და სიყალბეს ყოველთვის ადვილად შეუძლიან ამ დაბრკოლებას ამ ზღუდეს, ასცდეს და თავი გაიტანოს, ხოლო პატიოსნურს მოქმედებას არ ძალ-უძს დაძლევა ამ დაბრკოლებათა და იძულებულია ათას გვარი ხარჯი გასწიოს, რომელიც ყოველს ჯერ ნაყოფ-გამოუღებელს საქმესაც-კი ჰხვდება ხოლმე წილად.

წინადაც ბევრი ვილაპარაკეთ ამ საგნის გამო და ეხლაც რამდენსამე წერილს ვუძღვნით. ეს საგანი ძველთაგანვე საჭირ-ბოროტო საგანია და მისის გარდაწყვეტის საჭიროება ეხლა უფრო ცხადი შეიქნება, როდესაც სრული ჩვენი სასოფლო სამეურნეო მოქმედება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, უმოქმედობა ასეთს გაჭირვებაში ჩავარდა და გაქარწყლდა. ჩვენმა გაზეთმა ეს საჭიროება 1882 წელსაც აღნიშნა ე. ი. სწორედ ამ ათის წლის წინად. ქვემოდ ჩვენ მოვიხსენიებთ ამონაწერს იმ წიგნისას*), რომელშიაც აღნიშნულია უმთავრესი საბუთები ამ საქმეში ძირითადის ცვლილების მოხდენის საჭიროებისა.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ რომ მთავარი მიზეზი ამ საეკონომიო კრიზისისა, რომელიც ჩვენ დაგვემართა, ის არის, რომ ჩვენი აზრი და მოქმედება შეზღუდულ-შებორკილია ათას გვარის ფორმალიზმით და განსაკუთრებულ ნება-რთვათა საჭიროებით.

ამ წეს-წყობილების მაგიერ სხვა რიგიან წეს-წყობილების შემოღება ძლიერ ადვილია. ამისათვის სრულიად საჭირო არ არის დიდის ხნის განმავლობაში ცნობათა, მასალათა შეკრება და მათი განხილვა. თეორიითაცა და პრაქტიკითაც სულ რამდენსამე დღეზედ შეუძლიან შეისწავლოს კაცმა ეს საგანი რუსეთიდგან წაუსვლელად, პეტერბურგის გვერდითვე.

საკმარისია მხოლოდ ვიბორგსა ან ჰელსინგფორსში წავიდეს კაცი. ფინლიანდიაში ძლიერ კარგი წეს-რიგი და კანონიერობაა და ბოროტ-მოქმედება და სიყალბე ხომ მაინცა და მაინც ჩვენსაზე ნაკლებია. გზები, გარეგანი მოწყობილობა ქალაქებისა და ქუჩებისა სწორედ სამაგალითოა, თუმცა ის ქვეყანა რუსეთის ბუნებურს სიმდიდრეს სრულიად მოკლებულია და მხოლოდ ტყე, ხავსი და ქვა მოეპოვება. ასეთი წეს-რიგი და საეკონომიო და საზოგადოებური კეთილდღეობა ფინლიანდიისა შედეგია იმ გარემოებისა, რომ კაცი და შრომა ჩვენსავით შეზღუდული-კი არა, თავისუფალია და მხოლოდ კანონის მიერაა განსაზღვრული. იქ საჭირო არ არის თავისუფლად საქმის დაწყებისათვის მთავრობის მიერ ნება-რთვა, ყოველი საქმე და თუნდა სააქციონერო ამხანაგობა იქ ორს-სამს დღეში შეიძლება დაიწყოს და გაიმართოს. ამისათვის არც წინადვე ნება-თვის აღებაა საჭირო, არც სიარული აქეთ-იქით და არც მიწერ-მოწერა ჩვენებურად. ყოველივე ისე ადვილად ხერხდება, როგორც ნოტარიუსთან უბრალო პირობის დაწერა.

(დასასრული იქნება)

*) „Основы реформъ мѣстнаго и центральнаго управленія“. О. К. Нотовича. 1882 г.

ობაც-კი გამოუცხადა საქვეყნოდ. შემდეგ წერილში მოთხრობილია ყოველივე ამბავი, რაც ამ მორიგებას მოჰყვა შედეგად. ამ წერილმა ძლიერ ცხარე წერილი გამოიწვია კარნოს წინაამდეგ გაზეთს „Justice“-ში, „ამ დღეებშიო, სწერს ავტორი, მე ყვითელი წიგნი ვსთხოვე რიბოს ვატიკანთან მოლაპარაკებისაო, მაგრამ იმან უარი მითხრა და აი ეხლა „Figaro“ იძლევა იმ საბუთებსაო. კარნომ შესდგა თუ არა ფეხი ელისეის სასახლეში, მაშინვე პაპს მიჰმართა და მოლაპარაკება გაუმართა ლეფებრ დე-ბეგენის შუაკაცობით, რომელიც, როგორც ვუწყით, კარნოს ელჩი-კი არ არის პაპის სასახლეში, არამედ ელჩია საფრანგეთისაო. სადამდე მივაღწიეთ? განა აწინდელ რესპუბლიკის დროს კიდევ არსებობს მთავრობა ერთის კაცისა—მთავრობა კარნოსი? განა იმიტომ ვიბრძოდით ცეზარების წინაამდეგ, რომ უშესაფერო პრეზიდენტმა ხელი გაუწოდოს პაპსა?“ რადიკალებთან ერთად კარნოს წინაამდეგ გაილაშქრეს კონსტანის მომხრეებმაც. გაზეთი „Matin“-ი და „Jour“-ი ყოველ დღე ჰბეჭდავენ წერილებს კარნოს წინაამდეგ და იმ ბრალსა სდებენ, რომ კლერიკალიზმის მომხრე ხარო. გაზეთი „Laterne“ ამბობს, ან უნდა განშორდეს გენერალს ბრიუერს, რომელსაც ცუდი გავლენა აქვს იმაზედ, ან წავიდეს და იმასთან ერთად თავი დაანებოს თანამდებობასაო. საოხუნჯო გაზეთებიც არ უსვენებენ კარნოს: ხან კარიკატურად ბრმასა ჰხატავენ, რომლისათვისაც მღვდელს ცხვირზედ ხელი მოუკიდნია და მიჰყავს, და ხან კიდევ რა ნაირად.

## წვრილი ამბავი

ინგლისის ჯალათმა ჯემს ბერრიმ შინაგან საქმეთა მინისტრს მატიუსს თხოვნა მიართვა სამსახურიდგან გადადგომისა. იგი სჩივის, რომ უსამართლოდ მოშექცნენ, არ მენდნენ და გამორკვევა იმ თოკის სიგრძისა, რომელზედაც უნდა ჩამოჰრჩობილ იქმნენ ბრალდებულნი, სასპეტიმროს ექიმს მიანდესო. ამას წინად ექიმმა, ჯალათის აზრის მიუხედავად, უბრძანა, რომ თოკი დააგრძელეთო. თოკი ისე მალიან იყო დაგრძელებული, რომ ჩამომრჩვალს თავი სულ ერთიანად მოსწყვიტა და ტანი დედამიწაზედ დაეცა. ინგლისის ჯალათი ბერრი, რომელსაც ორასამდე კაცი ჩამოუხრჩვია, როგორც ამბობენ, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია, ჰსურს მთელს ინგლისში ლექციები წაიკითხოს და დაამტკიცოს, რომ სიკვდილით დასჯა უნდა აღიკრძალოსო.

— რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ბარონმა გირშმა ოც-და-ხუთი ათასი ფლორინი შესწირა კენის იმ მუშებს, რომელნიც უსამუშაოდ არიან დარჩენილნიო.

— სამხრეთ ამერიკაში ამ ჟამად დინამიტსა ჰხმარობენ სახნავ ნიადაგის დასაქცევად. მთელს სახნავს მინდორს ალაგ-ალაგ სთხრიან. თითო თხრილი ადლის საღრმე იქნება და ერთმანეთზედ თხრილები მოშორებულია თითქმის ორის ადლის სიგრძეზედ. ამ თხრილებში დინამიტის გუდა აწყვია და გუდანი ერთმანეთთან მართულით არის შეერთებული. ელექტრონის შეწეობით ააფეთქებენ ხოლმე დინამიტს. ამბობენ, რომ ამ წესით დედამიწა ისე კი იხვნება, როგორც გუთნითაო.

— ბერლინში ხალხს შესანიშნავს ტყუპს აჩვენებენ თურმე. ქვემო ნაწილი სხეულისა ტყუპებს გაერთებული აქვთ, ხოლო ზემო ნაწილი-კი, მკერდიდგან, დაწყებული სხეული ორად არის განცალკევებული, ორ ადამიანად. ესენი მშანი იტალიელები არიან. ამ გვარად, ტყუპებს ორი თავი აქვთ, ოთხი ხელი, ორი ფეხი, ორი მკერდი და ერთი მუცელი. ტყუპების გვარი ტოკკია და ამ ჟამად უკვე ცამეტის წლისანი არიან. ორივენი ჯან-საღნი არიან, მხიარულნი და გონებრივადაც განვითარებულნი, და ყოველ ამ მხრივ არაფრით ჩამორჩებიან სხვა ყმაწვილებს. ტყუპები ჰლაპარაკობენ ერთმანეთთან, სწერენ და ჰხატავენ; ერთი მათგანი, ასე წარმოიდგინეთ, კარგადაც-კი ჰხატავს ცხოველებს. ორივეს სიცოცხლით სავსე სახე აქვთ და შავი, გიშრის ფერი თვალები. გემოვნება-კი ხშირად სხვა-და-სხვა გვარი აქვთ. ერთს რომ გულით ტკბილი რამ მოუნდება ხოლმე, მეორე—სუბუქს, გულის ჩასაგემრიელებელს რამ საჭმელსა თხოულობს.

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ თ. ირაკლი გიორგის ძეს ჭავჭავაძეს, ბეგლარ მელიქოვის ძეს კართანოვს და თებრონია რუსიაშვილისას, რომელთაც შემოსწირეს ყვარელის ორ-კლასიან სასწავლებლის ღარიბ შეგირდთა სასარგებლოდ ოც-და-ხუთი მანეთი ფული.

დ. დ—ძე

## დეპეშა

10 მარტი

**პეტერბურგი.** გზათა მინისტრის ამხანაგი ევრეინოვი, თანახმად თავისის თხოვნისა, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან და იმისს ადგილას დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს კონტროლის წევრი ივაშჩენკოვი.

დაარსების დღიდგან 2 მარტამდე განსაკუთრებულს კომიტეტს შემოსავალი ჰქონდა სულ 6.754,871 მან. აქედგან 2.004,871 მან. კერძო შეწირულება და 4.750,000 მან. ლატარიის ფული. დაეხარჯა კომიტეტს იმავე დროს განმავლობაში 5.833,913 მან. უკანასკნელ კრების დროს განსაკუთრებულმა კომიტეტმა სხვათა შორის 100,000 მანათი გადასდო ორიოლის გუბერნიისათვის და ამდენივე ვიატკის საგუბერნიო კომიტეტისათვის.

„Новое Время“ იუწყება: კომისია თავმჯდომარეობით სახელმწიფო საბჭოს წევრის აბაზასი მხოლოდ იმ მხრივ მისდევს განხილვას სათანადო საგნებისას, როგორაც თავად-აზნაურთა კრებანი თხოულობენ. არც ერთს ამ გვარს თხოვნაში არ არის მოხსენებული სურვილი იმისა, რომ სავალდებულოდ გახდეს სამემკვიდრეო მამულის გაუნაწილებლობა და გაუყიდველობა; ეს მხოლოდ მფლობელის ნებაზეა დატოვებული; კომისიამაც სწორედ ასეთივე აზრი გამოსთქვა.

„Петер. Вѣд.“-ს გაუგონია, სინოდი ამ ჟამად იმ საგნის განხილვაშია, რომ დაპატარაოს ეპარქიები და საქორეპისკოპოსოები და საეპისკოპოსო კათედრები მოუმატოსო.

**კელნი.** სასამართლომ არ შეიწყნარა პროკურატურის მიერ ბრალის დადება გაზეთ „Kölnische Zeitung“-ისა, ვითომც ამ გაზეთს მისი უდიდებულესობა შეურაცხ ეყოს.

**ბერლინი.** იუსტიციის მინისტრმა მისწერა პროკურორებს, ვიდრე მინისტრისაგან ნება-რთვა არ აიღოთ, სასამართლოში ჩივილს ნუ დაიწყებთ ხოლმე მისის უდიდებულესობის შეურაცხების თაობაზეო.

**პარიჟი.** დღეს დიდის ამბით ლორდმა დიუვფერონმა ჩააბარა პრეზიდენტს თავის თანამდებობის ქაღალდი და განაცხადა, მე დავალებული მაქვს, რომ ყოველ გვარი ღონისძიება ვიხმარო უკეთესის ურთიერთობის ჩამოსაგდებად საფრანგეთსა და ინგლისს შორისო.

11 მარტი

**კრონშტადტი.** გუშინ შუაღამისას გარდაიცვალა ფილტვების ანთებით რედაქტორ-გამომცემელი ჟურნალ „Русская Старина“-სი სემიოვსკი, რომელიც აქ ლექციების წასაკითხად მოვიდა.

**ბერლინი.** სამინისტროს კრიზისი ალბად მალე გათავდება ამ სახით: გრაფ კაპრივი დარჩება იმპერიის კანცლერად და პრუსიის გარეშე საქმეთა მინისტრად, ხოლო პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტობას თავს დაანებებს. გრაფი ცედლიცი-კი დაანებებს თავს სარწმუნოებათა მინისტრის თანამდებობას. მინისტრ-პრეზიდენტის ადგილის დაჭერა სთხოვეს მიქელს, მაგრამ უარი სთქვა, ჯერ საფინანსო რეფორმები მინდა დავასრულოო. მოლაპარაკებაა კვლავ, რომ მინისტრ-პრეზიდენტობა ისევ კაპრივის ჰქონდეს. კათოლიკეთა ჟურნალ-გაზეთობა გულ-ნატკენი და გაცეცხლებულია; კანცლერს ემდურება: ცენტრის წყალობით დასდევი სავაჭრო ხელ-შეკრულებანიო, მიიღე ღირსება გრაფისა და სხვა ჯილდონიო. უარ-ჰყოფ რა ახლა სასკოლო კანონს, მით ჰკარგავ ფრიად საიმედო მომხრეს შენის პოლიტიკისასაო.

პოლშელთ ემჩნევათ, რომ ძლიერ დაღონდნენ; დაღონდნენ იმიტომ რომ გაზვიადებული იმედები ჰქონდათ მთავრობის პოლიტიკისა, რომელიც მათდა სასარგებლოდ იყო მიმართული.

როგორც ხმები ისმის, იმპერატორი, მკურნალთა რჩევით, აპრილის დამდეგზე ადრე არ დაბრუნდება ბერლინში.

პეტერბურგის ბირჟა, 10 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 92 | 7, 95 | — ,, |
| ტამოყნის კუპონები . | $158^1/_2$ | $159^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — ,, | 1, 15 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | $238^1/_2$ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | $221^3/_4$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | $198^1/_4$ | — ,, | $200^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

მზადაა!!!
[illegible]
რომან-ჟურნალი!
ახალი ამბავი!!!
[illegible]
FIN DE SIÈCLE
[illegible]
[illegible]
„[illegible]“
ა. გოლდი და სხ.
მაღაზიებში.
(10—4)

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან განიზრახა ბეჭდვა პატარა-პატარა წიგნისა ხალხში გასავრცელებლად, რაისათვისაც იგი იწვევს მსურველთ ხელნაწერი წარმოუდგინონ „საზოგადოების“ გამგეობას პირველ იანვრამდე 1893 წლისა „საზოგადოების“ კანცელარიაში (ტფილისის ბანკის ქარვასლა, №№ 125 და 126) ან ფოსტით ამ ადრესით, ან პირადად დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. რომელ ხელნაწერსაც-კი „გამგეობა“ მოიწონებს, შემადგენელს მისცემს

ჯილდოს.

პირველის ხარისხის ჯილდოა 50 მან., მეორისა—40 მან., მესამისა—25 მ.

ხელნაწერი უნდა იყოს არა უდიდეს 2 ბეჭდურის, თაბახისა 50—60 გვერდისა (ფორმატის გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ „საზოგადოების“ კანცელარიაში). ეს შეადგენს დაახლოვებით 4—5 თაბახს უბრალო საწერ ქაღალდისას, შუათანა ხელით დაწერილს. ხელნაწერი უნდა იყოს მდაბიო, კარგის ქართულის ენით დაწერილი, და უნდა შეეხებოდეს ან ისტორიას, ან ბუნების-მეტყველებას, ან შეადგენდეს მოთხრობას ორიგინალურს ანუ თარგმნილს. შემადგენელმა ან ავტორმა ხელნაწერი უნდა წარმოადგინოს ორ პაკეტში შემდეგის წესით: ერთ პაკეტში უნდა იყოს ხელნაწერი რაიმე ნიშნით (მაგ ანდაზა, გამოცანა), მეორეში სახელი და გვარი ავტორისა და იგივე ნიშანი, რომელიც პირველს პაკეტში იქნება. გამგეობა მეორე პაკეტს მხოლოდ მაშინ გახსნის, თუ ხელნაწერს მოიწონებს სრულად, თუ პირობით (შესწორებით, ან შემოკლებით); თუ გამგეობა ხელ-ნაწერს დაიწუნებს, უკანვე დაუბრუნებს ნიშნის წარმომდგენელს.

გამგეობა მაშინვე შეუდგება მოწონებულის ხელნაწერის ბეჭდვას და პირველი გამოცემა 1,200 ეგზემპლიარისა „საზოგადოების“ კუთვნილება იქნება.

მსურველთ შეუძლიანთ კანცელარიაში გაიცნონ სია იმ წიგნებისა, რომელიც სასურველია გადმოკეთდეს, ან გადმოითარგმნოს.

(10—0—5)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 11-го Марта 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.